

ყოველ დღე ორგანოს გარდა

ფრთხილი

ცალკე ნომერი ღირს შაშრათ

განცხადება: მიიღება ქართული, რუსული, სომხური და სხვა ენებში.

ფასი განცხადებანი: დღიური-
 ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით
 სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-
 ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაას-
 წიროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ
 გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი
 სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-
 გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ-
 ში, № 8.

კანტორა რედაქციის: სერ-
 გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სა-
 ხლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტო-
 რაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИ-
 шѣ. Въ редакцію газ. „Дрѣва“.

გაზეთის ფასი: მთელის წლი-
 სა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან.
 და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქ-
 ციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე,
 ივ. ამირალოვის სახლებში, № 8).

მალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრე-
 სი: ВЪ ТИШѣ. Въ редакцію газетъ
 „Дрѣва“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8
 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ.,
 ოთხი თვის—3 მან.

პირველი აპრილიდან პირველ ივლი-
 სამდინ გაზეთი ღირს—2 მან. და 50 კაპ
 წლის დამლევამდინ—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისა,
 თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამო-
 გზავნილი.

ბელგრადაში

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კონსტანტინოპოლი, 7 (19) აპრილს.
 ახმეტ-მეფიკ-ფაშა დაითხოვეს თანამდებ-
 რიდან. მის მაგიერ დაინიშნა სადიკ-
 ფაშა. მაგრამ ეს გარემოება იმას როდი
 ნიშნავს, ვითომ ოსმალეთსა და რუს-
 სეთს შუა კავშირი იყოს. პორტა დაპ-
 პირდა რუსეთს, რომ შუმლისა და ბა-
 თუმის დაცლას აეჩქარებო. მტლი-ფაშა
 დაინიშნა სახელმწიფო რჩევის თავმჯდო-
 მარეთ; მუნჩი-ფეფენდი—განათლების მი-
 ნისტრათ; მახმუდ-ფაშა—სამართლის მი-
 ნისტრათ; ოლანგ-ზამიდი—ვაჭრობის
 მინისტრათ და ზუგდი-ფეფენდი—ბაქის
 მმართველათ

პეტერბურგის ბირჟა, 8 აპრილს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

ლონდონი	23 3/4	„	„
ამსტერდამი	120	„	„
ჰამბურგი	202	„	„
პარიჟი	248—50	„	„
შინაგანი სესხის ბილეთები 5%			
პირველი სესხის	231—75		
მეორე სესხის	228		
ბანკის ბილეთები:			
პირველი გამოცემის	95—60		
მეორე	95		
მესამე	95		

მეოთხესი — — — — 94—75
 აღმოსავლეთის — — — — 93—50
 ოქრო, 1/2 იმპერიალი — — — — 8—29

სამართლები

დღიური

* ამბობენ, რომ ლენერალ-ადიუტან-
 ტი ლორის-მელიქოვი ამ დღეებში მი-
 დის თფილისიდან პეტურბურგში.

* * ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ რამდენიმე
 დღის წინათ ძავეკასიის სამასწავლებლო
 ბანყოფილების პედაგოგიურ რჩევას გარ-
 დაუწყვეტია, რომ, რადგან წელს ზაფ-
 ხულში სხვა-და-სხვა ავთომყოფობის გა-
 რცელების შიში არის, ამის გამო ჩვეუ-
 ლებრივ დროზე უფრო ადრე უნდა იქმ-
 ნენ გიმნაზიისა და სხვა სასწავლებლების
 შაგირდები დათხოვნილიო; რჩევას გარ-
 დაუწყვეტია ამისთანავე, რომ გიმნაზიებ-
 ში მხოლოდ მეოთხე და მეხუთე კლასის
 შაგირდებს დაჰქვინონ ეგზამენები, და-
 ნარჩენები კი ყველა უეგზამენოთ დაით-
 ხოვონ 1 ივნისს.

* ამ ხუთშაბათს, 6 აპრილს იყო
 სხდომა ძავეკასიის სამეურნეო საზოგა-
 დობისა, რომელმაც, სხვათა შორის,
 გადაწყვიტა, რომ, რადგან ლოჭინის
 სამეურნეო შკოლა იხურებო, ამის გა-
 მო საზოგადოების რჩევამ შეადგინოს
 კომისია, რომელმაც ამოარჩიოს ახა-
 ლი ადგილი ამ შკოლისათვის, შეადგი-
 ნოს პროგრამა და აგრეთვე დროდინ,
 სანამ ეს ახალი შკოლა არ გაიხსნება,
 იხრუნოს იმ შაგირდებზე, რომელნიც
 ახლა იყოფებიან ლოჭინის შკოლაში.

* * ჩვენ გვითხრეს, რომ „მენციელი
 მაჭრის“ წარმოდგენიდან ქართული სცენ-
 ის მოყვარეთა სულ 630 მანეთამდის
 შემოსელიათ; 230 მანეთამდინ ხარჯი
 ყოფილა; დანარჩენი—400 მანეთამდინ,
 როგორც აფიშაში იყო გამოცხადებუ-
 ლი, შორის უფხდის ორი სასოფლო
 შკოლისათვის (ხოვლესა და ძეიშხეთის)
 გადაუღვიათ.

* ბაზეთის „ძავეკასის“ სიტყვით, იმ
 კონცერტიდამ, რომელიც გასულ ორ-
 შაბათს, 3 აპრილს, გამართეს თფილისის
 კლასიკური გიმნაზიის შაგირდებმა, შე-
 მოსულა სულ 308 მან. და 50 კაპ.; აქე-
 დამ 14 მან. და ერთი აბაზი დახარჯუ-
 ლა და დანარჩენი 294 მან. და ექვსი
 შაური გარდაუციათ გიმნაზიის, გამსესხე-

ბელ-შემნახველ კასისათვის რომლის
 დანიშნულება, როგორც ამას წინათაც
 მოვიხსენიეთ, ის არის, რომ შაგირდებ-
 მა ხელი მოუშაროთნ ერთმანეთს დაჭირ-
 ვების დროს და აგრეთვე შეეწიონ იმ თა-
 ვიანთ ღარიბ ამხანაგებს, რომელნიც გი-
 მნაზიის კურსს შეასრულებენ და უმაღ-
 ლეს სწავლის მიღებას მოინდომებენ.
 ხსენებულს კასაში გიმნაზიელებს, რო-
 გორც ამბობენ, ამ წამად 3,200 მანე-
 თამდინ აქვთო.

* * ნეტა რა ბედი ეწია იმ „მოსწავ-
 ლეთა დამხმარებელ საზოგადოებას,“ რომ-
 მელიც, თუ არ ვსცდებით, ამ ნახევარი
 წლის წინათ შესდგა მთაისში და რომ-
 ლის პროექტი მაშინვე წარდგენილი და,
 მგონი, დამტკიცებულიც იყო მთავრო-
 ბისაგან? ნუთუ ამასაც ისე მოელო ბო-
 ლო, ნუთუ ეს საზოგადოებაც ისე მიი-
 ცვალა დაბადებამდინ,“ როგორც ბევრ
 ამგვარ კეთილ საქმეს დამართნია ხოლ-
 მე ხშირად ჩვენში?

* * ზემოხსენებულთაგან გაზეთი გვაც-
 ნობებს, რომ ძავეკასიის სამხედრო ოლ-
 ქის სასამართლოს გარდაუწყვეტია, რომ
 მურიის პირველი ქვევითა დრუჟინის
 მწერალი მასკვიტინი თავის ამხანაგის
 მწერლისავე მუხნეცოვის მოკვლისათ-
 ვის დაისაჯოს დახვრეტითა. ეს განჩინე-
 ბა 10 აპრილს დილის 10 საათზე უნდა
 მოიყვანონ სისრულეში.

* * ამ განშირებულმა წვიმებმა თვალ-
 თათვის სასიამოვნო შეხედულობა მის-
 ცა ჩვენს ქალაქს: ბაღებში ხეები და ხე-
 ხილები ამწვანდნენ; მთაწმინდა და სო-
 ლოლაკის-მთაც კი მწვანეთ შეიმოსა ბა-
 ლახითა.

ამ წამად ჩინებული დღეებია თფი-
 ლისში და ისევ საქმაოთ თფილა; მტკვარ-
 მაც დაიკლო.

* * * თფილიის ბანცხადებანი“ გვაც-
 ნობებენ, რომ სპარსეთის შაჰის დასახ-
 ვედრად თფილისში 25,000 მანეთი არის
 ხაზანისაგან დანიშნულიო.

* * * მსვე გაზეთი ამბობს, რომ მომე-
 ტებული ნაწილი იმ ოსმალთს დატყვე-
 ვებული სალდათებისა, რომელნიც ამ-
 წამად თფილისში ცხოვრებენ, სახლების
 შენებაზე და ქუჩების გაწმენდაზე მუ-
 შაობენო და ამ ნაირად ცოტაოდენ
 ფულს იგებენო.

* * * ამ დღეებში დაიჭირეს თფილის-
 ში ავაზაკი წყალობა აბუევი, რომელიც
 რეულა შარა-რევაზოვის შაიკაში იმ



დროს, როდესაც ამ შიკამ გაცარცვა საგარეოდ მსოფრედელი იგორ ასლამაზოვი და მოუკლა იმას შეილი. სენებული ავაზაკი დაუჭირავს პრისტავს ნაცვალავს აქუიაში, შორონცოვის ძეგლთან.

მომავალ ორშაბათს, 10 აპრილს ქალაქის რჩევაში, სხვათა შორის, შემდეგ საგნებზე იქნება სჯა:

წინადადება ხმოვანისა ზუბალოვისა ქალაქის სანამუსო სახლების თაობაზედ; მოხსენება 1876 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიშზედ; მოხსენება კომისიისა ქალაქის სახლის განახლებაზედ; მოხსენება ზამგეობისა ქალაქის სამმართველოს ხარჯის შემოკლებაზედ; მოხსენება ზამგეობისა სასაფლაოების ქალაქის წრეს გარეთ გადატანაზედ და სხვ.

„დროების“ კორექსიონდენცია

თელავი, 30 მარტი.

„ესა ავათ მოვიდეთ, პარე კაცს უძღვეთ მუღამ ქება; აქს მტრულათ ზელი ჩაქიდეთ პარეს მოყრულათ მიცე შევა!“
სახალხო ანდაზა.

ზოგიერთს თანამდებობის პირებს გაწყენინე „დროებაში“ რამდენიმე სიტყვით; მაგრამ ძალიანაც რომ დამემღურნენ ისინი, მე იმისთვის თავს არ გავიცხებებ.—მე მართალს ვიტყვი და ვინც რა უნდა ქმნას.

მხლა ეს ენახე და ვამბობ:

თელავის მაზრის უფროსის თანაშემწემ ამ ცოტას ხანში ისეთი სასიამოვნო და სასარგებლო განკარგულება მოახდინა, რომ ღმერთიც მადლობელია და ხალხიცა. იმან ვასცა სოფლის მამასახლისებზედ ბრძანება, რომლის ძალითაც ისინი შეუდგნენ თავ-თავანთ სოფლებში გზების გაკეთებას. ეს ბრძანება ისეთი სასტიკი იყო, რომ თითქმის ყველა სოფელში შეუდგნენ გზების კეთებას და

რავდენსამე სოფელში, როგორც მაგალითად შანძიანში, აკურაში, პონდოლში და სხვაგანაც თითქმის სისრულეშია მოიყვანეს და ისე რიგინათაც გააკეთეს გზები, რომ არაფერში ჩამოუვარდებიან სახელმწიფო მოსესს ანუ გაკვერილ გზას.

არც ერთი სოფლის ხალხს არ დასჭირებია წინამწოდლოთ და პლანის მისაცემათ ინჯინერი; ყოველს სოფელში გამოჩნდნენ იმისთანა გამოცდილი გლეხები, რომელთაც სრულებით არ გაუჭირდათ მინდობილების აღსრულება და ამ გვარად დღეს ბევრგან ჰნახავთ სოფლებში ჩინებულს ქვიშა დაყრილს გზებსა, რომელთაც შუა გული ანუ ზურგი აქვთ შემადლებული მისთვის, რომ წვიმის წყალი არ შესდგეს ზედ გზაზედ და დაქანდეს აქეთ-იქით გზის პირებზედ გძლიათ გაყვანილს არხებზედ, საიდგანაც წყალს მიაქვს ჩხრიალი პირ-და-პირ მახლობელს ხევებში და აქედან მდინარე ალაზანში.

ამ გვარმა განკარგულებამ აი რავდენ ნაირი სარგებლობა მოუტანა მსოფრედთ: პურით და ქერით დათესილს მიწებს აღარსად მოჰხვდება წყალი და უწინდებურათ ველარ გაფუჭებს მოსავალს; ბნელაში მონადენს დატვირთულს ურემს აღარა აქვს შიში გადაბრუნებისა; შიგ შებმულს პირუტყვს-საქონელს აღარ უძნელდება თავისი საპალნის ზიდვა; გზაზედ დაყრილს ქვიშაზედ კარგათ იმაგრებს ხარი ფეხსა და დაცემის შიში აღარ აქვს და სხვა.

შემოხსენებულისავე პირის განკარგულებით სოფელს ხ—ში შესდგა ყრილობის განჩინება, რომლის ძალითაც ცდილობენ მანებელი პირების გარდასახლებას. ეს გარდასახლებელი კაცები აქამდის დიდს ზაროს აძლევდნენ ხალხსა თავისის ბოროტ-მოქმედებით: 1877 წლის განმამავლობაში, როგორც აღმოჩნდა ანგარიშით, ამათ მოუპარავთ ცხენები, საქონელი, ღვინო, პური და შინაური ფრინველი სულ 879 მანეთისა; და რადგანაც ეს ბოროტება თითქ-

მას შეიდ-რვა წლის განმავლობაში გაუწყვეტლათ ყოფილა, ამავე დროს რამდენი ნაკლულეფანება მისცემია ამ სოფლის ხალხს ცხოვრებაში!

ამას გარდა მისივე—უ. ღროზლოვის—განკარგულებით არიან მოთხოვნილნი სხვა მაზრის ხალხნი, რომელთაც არა აქვთ ჯეროვანი ბილიტები და სცხოვრობენ თელავის უუზღში. რასაკვირველია, არიან ესენი მოთხოვნილნი გასაგზავნათ თავთავიანთ ქვეყნებში.

პუკია

ომის აგებუ

ომისთვის მზადება

შრანცუზული გაზეთი „Le Temps“ იწერება, ჩვენ მივიღეთ ვენიადამ ამბავი, რომ აესტრო-ვენგრის მმართველობას მოსვლია ინგლისიდგან მომავალი ომის პლანი რუსეთთან; ამ პლანში გამოყვანილია თურმე—თუ სად, რა დროსა და რამდენი ჯარით უნდა მიადგნენ ინგლის-აესტრიის ჯარები რუსეთს და როგორ უნდა წაიყვანონ ბრძოლა.

„ქელნის ზაზეთში“ იწერებიან პარიჟიადამ: საფრანგეთის სამხედრო ნავთსადგურებში ამ უკანასკნელ დროს გაციხარებული ფაცა-ფუცი და მზადება არის. რაც დაზიანებული სამხედრო ხომალდებია, აახლებენ, ზარბაზნებს აყენებენ ზედ, ჯარებს ამზადებენო და სხვ.

ამ გაზეთის სიტყვით, საფრანგეთს ამ ქამად 114 სამხედრო ხომალდი აქვს; ამათში 40 ჯაფშიანი, დანარჩენი უფრო პატარები და ძალიან ბევრი უზრარო ხომალდები ჯარის გადასაყვან-გადმოსაყვანად. ამას გარდა სხვა-და-სხვა ნავთსადგურში 18 დიდ ხომალდს აკეთებინებენ ახლა, რომელნიც რამოდენიმე თვის განმავლობაში მზათ იქმნებაო.

ფალტონი

თამარ მეფე

(ხალხში გავრცელები ამბები)

მთელ საქართველოს ხალხს თამარ დედოფალი წმინდანათა ჰყავს დასახული და ამიტომაც არა სჯერათ, რომ მას ქმარი ჰყვანდა. რომელიმე გლეხსა რომ უთხრათ, თამარ დედოფალს ქმარი ჰყვანდა, ის მის დიდს გავიცხვათ მიიღებს და მაშინათვე გეტყვის ამ ამბავს.

თამარ დედოფლის მამა რომ გარდაიცვალა, სარდლებმა და თავადებმა თამარ მეფეს გათხოვება დაუპირეს. მაგრამ ის არ თანხმდებოდა. სარდლებმა რომ ველარა გააწყეს-რა, თავი დაანებეს.

შემდეგ თამარ დედოფალი, ხალხის

ჰაზრით, უცნაურის ძალით დაორსულებულია და მისცემია ვაჟი, რომლისთვისაც უწოდებიათ ლაშა და ბიორგი. ლაშა დაბადებულია თუ არა, მაშინათვე თამარ მეფეს შეუხვევია ჩერებში და გაუტანებია თავის ზანოვნებისათვის:—წაიყვანეთ და აქვე ახლოს ტყეში ერთს ხის ძირას დასდევითო და უთვალთვალეთ კიდევ; რომ ნადირმა არ შეჭამოსო. წაიყვანეს ბანოვნებმა, ხის ქვეშ დასდეს, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, და შორილამ ყარაულობდნენ. მართი ირემი შემოჰჩვევია ყმაწვილს, რომელიც ყოველ დღით და საღამოთ მივიდოდა თურმე და მიაწოვებდა ძუძუსა.

ამ გვარად იმ ირემმა გაზარდა თამარის ვაჟი. შემდეგ თამარ მეფემ შეაკერინა მისთვის ტანისამოსი, გაატანა ტყეში ქალებსა და უთხრა:—წაიღეთ ეს ტანისამოსი და შორიახლოდამ გადუყარეთ მას; თუ ჩაცმა მოახერხოს, მომი-

ყვანეთ აქა, თუ ვერა და მინც მოიყვანეთ... ბევრს წვალებულა ჩაცმაზე, მაგრამ ბოლოს მოუხერხებია. ქალებსაც, რა დაუნახავთ ეს, მაშინათვე მისულან და წამოუყვანიათ ყმაწვილი თამარ დედოფალთანა.

აი ამის გამო ზაგრატოვანთ გვარის ხალხნი, ანუ მეფენი, ირმის ხორცს ძველათ არა სჭამდნენ; რადგანაც ირემი ჩვენი გამზღელიაო.

ასე ამბობს ხალხი.

II

მსეთში ისე ერთ კაცს ვერა ნახავთ, რომ რამდენიმე ამბავი არ ჰქონდეს გავრცელები თამარ მეფეზედ თავის მამა-პაპა ოსებისაგან. სხვათა შორის იქაურობისაგა გავიგონე მე შემდეგი ამბავი:

სანამ თამარ-მეფე ცოცხალი იყო, მის დროს იალბუზის მთაზე თოვლი არას დროს არ მოსულა და თამარ დედოფალსაც თავისი თორმეტ კარიანი



რუსულ განუთებში დაბეჭდილია 31 მარტს სტამბოლიდან მიღებული დეპეშა, რომელიც გაცნობებს, რომ მსმალეთის მთავრობას გამოუგზავნია იმ დღეს მდესხაში 8 ხომალდი, რომელთაგან უნდა ჩასვან ომში დატყვევებული მსმალთა სალდათები და აფიცრები და და აბრუნონ ისევე უკან.

შეკველია, რომ ეს ხომალდები ცარიელი დაბრუნდებიან ისევე სტამბოლში, რადგან ამას წინათ მოსულმა დეპეშამ გაცნობდა, რომ მსმალეთი, როგორც ეტყობა, ინგლისის მხარს იჭერს და ამის გამო ტყვეების გაცვლა დროებით შეჩერებული არის.

მდესხიდან მიღებული ტელეგრამა გაცნობებს, რომ იქ მისულა ხომალდი „სესარენა“, რომელზედაც მსმალთა 284 რუსის ტყვე, მომეტებული ნაწილი ქაეკასიის ჯარებისა, რომელნიც ბაიაზეთში დაატყვევეს მსმალეებმა.

სამართალი

შერა ზასულიჩის საქმე

დენ.-ადიუტ. ტრეპოვის მოკვლის განზრახვაზედ

(სხდომა პეტერბურლის ოლქის სასამართლოს)

31 მარტს პეტერბურლის ოლქის სასამართლოში გაარჩიეს საქმე პეტერბურლის გრადანაჩაონიკის დენ.-ადიუტ. ტრეპოვის მოკვლის განზრახვაზე.

სასამართლოს ზალა სავსე იყო ხალხითა; აუარებელი ხალხი მოგროვილი იყო დილიდან საღამომდინ ქუჩაში სასამართლოს წინ.

სხდომა გაიხსნა დილის 11 საათზე. შემოიყვანეს ბრალდებული შერა ზასულიჩი. მან არის 28 წლის ქალი, დაბალი ტინის, ფერ-მკრთალი; ლაპარაკობდა თორმეტ ოთახიანი ციხე-კოშკი იქაში და მისი ჯოგებიც იქაში მოვლდნენ.

პრთხელ ომარ დედოფალი სხვაგან გაემგზავრა თავის სამზღვრების დასათვალისწინებლათ, შინ თავისი გამდელი დასტრევა და მეთორმეტე კარის გასაღები მას მიაბარა და უთხრა, რომ არამცა და არამცა იმ ოთახის კარები არ გააღო.

შემდეგ ომარ დედოფალის წასვლისა გამდელს ველარ მოუთმენია: თუ რა უნდა იყოს ისეთი, რომ გაღება არ შეიძლებოდესო, — მისულა და გაუღია კიდევ კარები. იქ ყოფილა მომწყვდელი „თავლის ვარსკლავი“, რომელიც კარების გაღებისათვის გაფრენილა... ომარ დედოფალს რომ შეუტყვიდა ეს ამბავი, მაშინათვე საჩქაროთ დაბრუნებულა თავის კოშკში, მაგრამ ვარსკლავისთვის ველარა უშველია-რა და მის გამო შესულა დიდს ქმუნვაში და მწუხარებაში.

ომარ დედოფალს ის გამდელი დაუწყველია. აი ამ ამბის შემდეგ მყინვარზე (ილბუზზე) მუდამ წლობით საშინელი ზევი იკრება ხოლმე და როცა ჩამოწვება, ზოგიერთ ხალხსაც აზარალებს. იმ გამდელიც ტარტაროზათ ქცეულა და კუდიანების დასში შერიცხულა, რადგანაც ომარს იგი საშინლათ დაუწყველია და ეხლაც არის იქ ერთი მთა, რომელსაც ტარტაროზის მთას უწოდებენ.

როცა ომარ დედოფალი მომკვდარა და დაუსაფლავებით, ის გამდელი წასულა, საფლავიდან ამოუღია იმისი გვამი, წაუღია და სადაც იმისი ადგილი ყოფილა, იქ დაუსაფლავებია. ამასთანავე გაუკეთებინებია რამდენიმე საფლავის ქვები, ზოგზედ წაუწერია ზედ: „აქ მარხია ომარ მეფე“, სხვებზე — „აქ მარხია ომარ მეფე“ და მოუფენია იმ ქვებით რამდენიმე ტყე. ხალხი დაუწყებს ძებნას ომარ მეფის სასაფლავს, იმ საფლავების ქვებს გადახდიან, შინჯვენ; მაგრამ ვერსად ვერ იპოვიან...

და დაბლა ხმით და მშვიდობიანათ ისე რომ სახეზე არა გვარი ანღვრეულებმა არ ეტყობოდა.

თვითონ დენ. ტრეპოვი, ავთიყოფობის გამო, ვერ მოვიდა ბოწით. ამას გარდა არ იყვნენ მოწამები ტუსალები მოლხოვსკი და ტუპრიანოვი, რომელნიც სხედან პეტროპავლოვსკის სატუსალოში პოლიტიკური დანაშაულობის გამო.

პარველად სეკრეტარმა წაიკითხა მამამტყუნებელი აქტი. იმაში ეწერა, რომ 1878 წ. 24 იანვარს ტრეპოვთან შემოვიდა ერთი უცნობი ქალი არზის მისართმევეთ; როცა მიართვა არზა და ტრეპოვი გამობრუნდა, ამ დროს იქმყოფს ჩინოვნიკებს მოესმათ რევოლვერის ხმა. ნახეს, რომ ტრეპოვი ძირს დაეცა. იმ წამსვე დაიჭრეს ეს ქალი, რომელმაც გადაისროლა რევოლვერი და დაწებდა იმ კაცს, რომელმაც დაიჭრა. ტრეპოვის ჩვენებიდამ კი სჩანდა, რომ ვითომ იმ ქალს კიდევ უნდოდა სროლა, მაგრამ ამდროს ძალათ გამოაცალეს ხელიდამ ხუთ ლულიანი რევოლვერიო. სხვა ჩინოვნიკების ჩვენებიდამ კი სჩანს რომ იმან თავისი ნებით დაუთმო რევოლვერი და არც გამოუჩენია სრულებით განზრახვა მეორეთ სროლისა.

მითონ ზასულიჩის ჩვენებიდამ სჩანს, რომ ის იმ განზრახვით მივიდა ტრეპოვთან, რომ ესროლა და იმისთვის სულ ერთი იყო, თუნდა მომკვდარიყო და თუნდა დაკადილიყო, რადგან აღრევე თავილამ ხელი ალებული ჰქონდა. იმას უნდოდა შური ეძია და ჯავრი ამოეყარა დენ. ტრეპოვისა, რომლის ბრძანებითაც როზგით სცემეს ერთს ყმაწვილ კაცს, პოლიტიკურ საქმისათვის დატუსალებულს ბოლოლიუბოვს, რომელსაც ის თითქმის სრულებით არ იცნობდა. ამ ყმაწვილის ცემის ამბავი შეიტყო ამან 1877 წელს ზოგი გაზნთებიდამ და როცა მოვიდა პეტერბურლ-

ში, მაშინ უფრო დაწვრილებით ყმაწვის. ამ ამბავმა ძალიან ააღელურა ის, რამდენიმე ტომ რომ კარგათ იცოდა — თუ რა მდგომარეობაში უნდა იყოს იმ კაცის გული, რომელსაც თავისუფლება აქვს წართმეული, და ამასთანავე როზგით სცემენ.

აი ამის შემდეგ დაებადა იმას ის ჰანრი, რომ როგორც მაგიერი გადებდა ტრეპოვისთვის. მაშინათვე ერთ თავის ნაცნობს რომელმაც სრულებით არ იცოდა იმის განზრახვა, რევოლვერი და 24 იანვარს 1878 წავედა დენ. ტრეპოვთან და ესროლა.

სატუსალოში მოკრებილი ცნობებიდამ სჩანს, რომ 13 იელისს ტრეპოვის ბრძანებით 25 როზგი დაარტყეს როგორც არეულობის მოთავეს, არხიზ ბოლოლიუბოვს, რომელსაც წართმეული ჰქონდა ყველა უფლება და გადაწყვეტილი კატორდა.

შერა ზასულიჩისას ბრალდება, რომ იმას უნდოდა მოკვლა ტრეპოვისა და ამის გამოისათ ესროლა რევოლვერი, რომელმაც დაკოდა ის მეჩუხებში და რომლის დაკადილობით ტრეპოვი არ მოკვდა.

სასამართლოში ზასულიჩმა თავს მჯდომარის კითხვაზე უპასუხა, რომ ის სწორეთ იმ ჰანრით მიდიოდა, რომ ესროლა რევოლვერი და რომ იმისთვის სულ ერთი იყო, მოკვდებოდა თუ დაიკადებოდა.

მოწმებში პირველათ ჰკითხეს პურნევეს, რომელიც იყო პეტროპავლოვსკის სატუსალოს გამგებლათ და რომელიც ბოლოლიუბოვის გაროზგვის დროს იქ დაესწრო. იმან აჩვენა, რომ ტრეპოვი მივიდა ზასულიჩთან, რომელმაც მიართვა არზა და როცა მიბრუნდა სხვებთან მისასვლელათ, მოესმათ სროლა, ტრეპოვი დაეცა ძირს, პურნევე მივარდა, ზასულიჩს კისერში მოჰკიდა ხელი

III

სომხებისაგან ომარ მეფეზე მე გამოგონია შემდეგი ამბავი:

შრთ დროს ქართველების დედოფალი ომარი თათრებმა გააჯავრესო და ამ გაჯავრებაზე ომარს უთქვამს: მაშ მე ქართველი ქალი არ ვიყო, თუ ქალივით არ დაგამუხლოთ თქვენაო, როგორც ქალი ისეც კაციო! შემდეგ ისეთი შიში უქმევიათ ქართველებს თათრებისთვის, რომ მთელს სპარსეთის ხალხს ფიცრ მიუციათ და თავიან რჯულ-კანონში შეუტანიათ, რომ დღეის შემდეგ ჩვენ ყველა მამამდიანებმა შარდზე გასვლის დროს უნდა დავიმუხლოთო...

(თუმცა ამ ამბავში ისეთი შესანიშნავი არაფერია, რომ კაცმა ისიამოვნოს წაკითხვის დროს, ან ისტორიკოსმა გამოიყენოს, მაგრამ მე მაინც იმიტომ მოვაგროვე ეს ცნობები და ვაგროვე კიდევ, რომ ამ ქამად ჩვენმა ხალხმა ზეპირათ იცის და შემდეგ იქნება სრულებით დაავიწყდეს...)

ზ. შაჰინდელი



და შემდეგ რა მოხდა მომეტებულის მღვდელთაგან ალარა ახსოვს-რა. შემდეგ პურნევემა სთქვა, რომ ის იყო სატუსალოს გამგებელათ, როცა მოხდა ის ამბავი, რომ გაროზგეს ტუსალი ბოგოლიუბოვი. მასაკვირველია, რომ მოწამეს დაიწყებოდა დაწვრილებით ეს ამბავი; მარტო ის კი ახსოვდა, რომ ტუსაღმა ქუდი არ მოუხადა ტრეპოვს და ამის გამოისათ უბრძანა, რომ ის ჯერ ბნელ ოთახში ჩაესვათ და მერე გაელახათ როზგით.

სხვა მოწმებმაც ისევ ისა სთქვეს, რაც პურნევემა.

ბრალდებულმა აღიარა, რომ მარტო ბოგოლიუბოვის როზგით ცემა იყო მიზნები ამ საქმისათ; მარტო იმის ცემა კი არ აღელებდა, მაგრამ უღონო და თავისუფლებას მოკლებული კაცის ღირსების დამდაბლება და ისე მძლავრობით მოქცევა კაცის ღირსებისა აღელებდა იმას. „ითონ მეც გამიშინჯავს ჩემს თავზე და ამიტომ ძალიან კარგათ ვგრძნობ თავისუფლებას მოკლებული კაცის მდგომარეობასაო.“ სთქვა ზასულნიძე.

1868 წელს, როცა ის 18 წლისა იყო, ნიჩაევის საქმის თაობაზე დაჭერილი იყო და იჯდა ლიტოვის სატუსალოში. შემდეგ გაანთავისუფლეს, რადგან არაფერი მიზნები ვერ იპოვნეს და გააგზავნეს ქ. ქრესტცში პოლიციის და აღმინისტრაციის მხედველობის ქვეშ. როცა შეიტყო ბოგოლიუბოვის ცემის ამბავი, იმას ეგონა, რომ ან სამართალი დასჯის ღენ. ტრეპოვს ამ საქმის მომქმედს, ან საზოგადო ჰაზრი; მაგრამ დრო გადიოდა და ამ საცოდავი, კატორღაში გასასაგზავნელ კაცის ცემა კიდევ დაავიწყდათ; და მაშინ გაბედა შურის-ძიება, მაგიერის გადახდა.

წინააღმდეგე მოწმებმა, რომელნიც ბოგოლიუბოვის გაროზგის დროს ისინდნენ პეტრე-პავლოვსკის სატუსალოში აჩვენეს,

რომ 13 ივლისს დადილოდით ეზოში, ამ დროს მოვიდა ტრეპოვი და იკითხა, რომ პოლიტიკური არესტანტები რათ დაიარებიან ერთათაო. როცა პურნევემა დააგვიანა პასუხი, ბოგოლიუბოვი მივიდა ტრეპოვთან, ქუდი აიწია და უთხრა, რომ ისინი ერთ და იგივე საქმისთვის არ არიან დატუსალებულნი და რომ იმისი საქმე კიდევ გადაწყვეტილიაო. ტრეპოვმა გაჯავრებულად წამოიძახა: „ჩააგდეთ ეს ბნელ ოთახში“. მასხურებმა ვერ გაიგეს, რადგან აქ არ იყვნენ. ბოგოლიუბოვი და მოწამე წავიდნენ ისევ უკან და შეხვდით კიდევ ტრეპოვი, რომელმაც წამოიყვირა: „მონხადეთ ქუდი!“ და მივარდა ბაგალიუბოვს. ამ დროს ტრეპოვმა გაუქნია ხელი, ბაგალიუბოვს გაღუვარდა ქუდი, მაგრამ აიღო ხელ-მეორეთ და დაიხურა; კიდევ მივარდა ტრეპოვი და არ ვიცი დაარტყა თუ არა. იმ დღესვე გაროზგეს ის. მეორე მოწამემ სთქვა, რომ მესამოდა როზგის ხმა და ტუსალების ყვირილი და კვნესაო.

პროკურორის სიტყვა ძალიან რბილი სიტყვა იყო. დამცველის პლექსანდროვის მგრძობიარე და ჰაზრიანი სიტყვის შემდეგ მოსამართლეები გავიდნენ მეორე ოთახში მოსალაპარაკებლათ და ერთი საათის შემდეგ გამოვიდნენ და გაამართლეს ბრალდებული. ხალხი ისეთ აღტაცებაში მოვიდა, რომ რამდენიმე მინუტი ტაშის-კვრა მოისმოდა ზალაში. ზასულნიძის ქალი მაშინვე გაანთავისუფლეს.

განცხადებანი

დაბეჭდა და ისყიდება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში:

გატონის შვილი
 ირაკლის პირველი დრო
 ანუ თავდადება ქართვალთა
 მამოცემული ზაქარია შიჭინაძისაგან.
 შასი ეპისკოპოსი

იხმავება და მოკლე ხანში გამოსვა
თავარ-დებოვალი
 მოთ-მოქმედებიანი ტრაველია
 ბადაკეთებული ბრ. რჩეულობის რო-
 მანიღან—თავარ სმპარტოვალოს გა-
 ტონის შვილი“
 კ. მესხისაგან (5-2)

ტყავის ქარხანა
თფილისში
 დამოქმედის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირ-
 და-პირ, სახლის № 22.
 პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომ
 მელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთ-
 თვის სასყიდლად ეჭირებთ, რომ ამ
 ქარხანაში კეთდება და მუდამ მოი-
 კრება და მზადებული ყოველგვარი
 ტყავი ფაღბისთვის, უნაბიჩისა, კარმ-
 ტის და ფამტონებისა, ჩამამბისა ლა-
 ნჩა და სხვ.
 ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ
 საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტო-
 რაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრე-
 თვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკვე-
 თოს და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად
 ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მალა-
 ზიაში, სიონის პირ-და-პირ.
 (25-11)

გამოვიდა და ისყიდება
„სოლი ვიტირო, თუ ფული?“
 კომედია ად. თუ თავისა
 ისყიდება: ქალაქში—ყველა წიფ-
 ნის მალაზიებში და ალექს ჯიმშეროვ-

რძ. ზნა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	მაცანდა	მან	კაპ	თფილისის სამაჰრანალო
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 8 აპრილს			პრევენის მაედანზე, წინამძღვაროვის
მცხეთა	10 11	6 27	- 68	- 38	ქუთაისს, შოთს . . .	1	შქვ. თ. თ. ბანჯისა, ფთ.	1 65		სახლებში.
ზორი	11 58	9 43	2 40	1 33	ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50	შქვილი წითელი . . .	1 40		ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე,
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2	ქერი ფუთი . . .	1 40		კვირას გარდა, დილის 8—10 გდინ.
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, შარშავას . . .	2	ბაზა პრევენისა, ფუთი . . .	7 50		მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. მინკევიჩი—ხორუ-
შვირილი	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი . . .	8 50		რგი, ლისიცივი—შინაგ. ავათმყოფ.
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტილი ბაზა ფუთი.	10		ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შერმიშვილი და
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფთ.	8 20		მარქაროვი—შინაგ. ავათმყოფობის,
ახ.-სენაკი	—	—	8 57	4 76	უოზბა		—თარაქშისა ფთ.	4 50		თამაშევი—თვალის.
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გა- რეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		აბრეშუმი ნუხური სტ.	2		მ. თ. ს. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ლისიცივი—ში-
შოთი	9 13				კვირას გარდა. ზუღდ. ორშ. და სამშ.		ქონი, ფუთი . . .	6 50		ნაგანი ავათმყოფ., შიურჩარინცი—ვე-
ახ.-სენაკი	—	—	1 18	- 66	მ. შურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—		ქონის სანთელი ფუთი.	8		ნერიოლის.
სამტრედია	11 16		2 61	1 14	სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:		სტეარინის სანთელი, ფ.	13 40		ს. თ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შერმიშვილი—შინა-
რიონი	12 13		3 41	1 69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		ხორცი ძროხისა, ლიტ.	1 8		განი ავათმყოფობისათვის.
შვირილი	1 18	დაბე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მ. შურგეთს—		—ცხვრისა, ლიტრა . . .	— 99		პ. ა. რ. ა. ს. კ. ვ. ს. ლისიცივი და ასა-
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		სპირტი, ვედრო . . .	5 20		ტუროვი—შინაგ. ავათმყოფ. და მინ-
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გავზუნა რუსეთში	კაპ.	შაქარი, ბროც. ფუთი . . .	8 40		კევიჩი—ხორტუგ.
ზორი	7 5	4 8	7 36	4 9	და სამზღვარ გარეთ:		—ფხვნილი ფუთი . . .	6		შ. ა. ბ. ა. თ. ს. შერმიშვილი და მარქა-
მცხეთა	8 50	6 59	9 8 5	4	ლი წიგნის	4	შავა გრგვალი, გირვ. . .	— 70		როვი—შინაგანი ავათმყოფობის, შიუ-
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42	დაბეჭდილის (სამი მისხალი) . . .	8	შეთი ქუნჯულისა ფუთ.	12		შიურჩარინცი—ყურის და ხორტუგოულ
							თამაშევი, საშუალო ფუთი	8 55		ავათმყოფ. და თამაშევი—თვალის.